ლევან ხალვაში, ლია გორგაძე

მეტყველების ნაწილების პრობლემისათვის ლინგვისტიკაში

მეტყველების ნაწილები გრამატიკის ბაზისური ცნებაა, მათი გამოყენების გარეშე შეუძლებელია წინადადების როგორც ჩამოყალიბება, ისე გაგებაც. დესკრიფციული გრამატიკის გამოკლებით ყველა დროის გრამატიკა კომპოზიციურად ერთია, იგი წარმოადგენს ავტორის მიერ მეტყველების ნაწილების საფუძველზე წარმართული ენის აღწერას. ფაქტია, რომ გრამატიკის შედგენა ვერცერთი ენისთვის ვერ მოხერხდება მეტყველების ნაწილების, სხვაგვარად, სიტყვათა კლასების, ფორმალური კლასების გამოყოფის გარეშე. საკითხავია ამგვარი კლასების გამოყოფის საფუძველი.

ევროპაში მეტყველების ნაწილები პირველად დასახელდნენ გრამატიკის გარეთ, პლატონის ფილოსოფიაში (Лайонз, 1978:29), ხოლო პრობლემამ თავი იჩინა არისტოტელესთან.

ცნობილია, რომ რვა მეტყველების ნაწილი (ასო-ნიშანი, მარცვალი, მაერთი, ნაწევარი, სახელი, ზმნა, გადახრა, გამონათქვამი) არისტოტელემ გამოყო „პოეტიკაში“ (Аристотель,1984:667). მეტყველების ნაწილებად დასახელებული „ასო-ნიშანი“, „მარცვალი“, „გადახრა“, „გამონათქვამი“ მიუღებელი დარჩა დიონისესთვის, რომლის გრამატიკაში მეტყველების ნაწილები წარმოადგენენ მხოლოდ სიტყვათა კლასებს: სახელი, ზმნა, მიმღეობა, არტიკლი, ნაცვალსახელი, წინდებული, ზმნიზედა, კავშირი (Ист.линг,1980: 215). აღნიშნული რვა მეტყველების ნაწილი საუკუნეთა განმავლობაში გახდა ძირითადი მრავალი ენისთვის და ამით იქცა ენის აღწერის უნივერსალურ მეტაენად. „კატეგორიებში“ არისტოტელემ გამოყო ათი უზოგადესი ცნება (კატეგორია), რომელიც საფუძვლად უდევს ყველა სხვა ცნებას, მათ შორის ლინგვისტურსაც. არისტოტელეს ათი კატეგორია: სუბსტანცია (საგანი), რაოდენობა, თვისება, მიმართება, ადგილი, დრო, მდგომარეობა, მფლობელობა, მოქმედება, ვნებითობა (Аристотель,1978:55) - სამყაროს აღწერის უნივერსალური ფილოსოფიური ენაა.

არისტოტელეს არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ წინადადებათა სემანტიკური კომპონენტების ურთიერთმიმართებისა და განზოგადების გზით მიღებული კატეგორიები წარმოადგენენ არსებულის ამომწურავ სემანტიკურ სურათს.

კატეგორიების გამოყოფით პოსტულირდებოდა სტრუქტურული იზომორფიზმი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოცემული სამყაროს აზროვნებასა და ენას შორის. არისტოტელეს მეტაფიზიკამ გრამატიკოსებს შეუქმნა რწმენა, რომ მეტყველების ნაწილები წარმოადგენენ შესაბამისი რეალიების ადეკვატურ ასახვას, რაც შესაძლებელს ხდის მათი (მეტყველების ნაწილების) ერთმანეთისაგან ლოგიკურ გამიჯვნას. მაგრამ დღეს არავინ არის კმაყოფილი მეტყველების ნაწილების არსებული თეორიით. სემანტიკურ-გრამატიკული ნიშნების საფუძველზე გამოყოფილი სიტყვათა კლასები ურთიერთგადამკვეთია: ერთი სიტყვა იკავებს ადგილს რამდენიმე კლასში, მაგალითად, სიტყვები: „დღეს“, „დილით“, „საღამოს“, „შემოდგომით“, „გაზაფხულზე“; ჰიბრიდულია თავისი ბუნებით ქართული ენის საწყისები: ყოფნა, ყოლა, სმა, ჭამა, მისვლა, წასვლა, ქსოვა, კერვა...,მიმღეობები: დაწერილი, დასაწერი, დამწერი, ახსნილი, ასახსნელი, ამხსნელი და ა. შ. (შანიძე,1980:557-558); გერუნდივი, მაგალითად ინგლისურ ენაში: being, staying, laughing; რუსული деепричастия: сидя, улыбаясь. მეორე მხრივ, სიტყვების ნაწილი რჩება კლასების გარეთ, მაგალითად სიტყვები: „კი“, „არა“, „თუნდაც“, „ალბათ“, „მართლაც“, „ეტყობა“, „თითქოს“ , „სამწუხაროდ“, „მაშასადამე“, „ამრიგად“... (Щерба,1957:67). სიმრავლის კლასებად დაყოფა ლოგიკური ოპერეციაა, მას წარმატებით იყენებს მეცნიერების მრავალი დარგი, მაგრამ მეტყველების ნაწილების შემთხვევაში ვერ ხერხდება ლოგიკის „შერიგება“ გრამატიკასთან, რაზეც მე-19 საუკუნეში მიუთითებდა ჰ. პაული: „ინდოევროპულ ენებში მიღებული მეტყველების ნაწილების კლასიფიკაცია, რომელიც მოდის ანტიკური გრამატიკებიდან, არ ეფუძნება თანმიმდევრობით გამოყენებულ ლოგიკურ პრინციპებს. მას ახასიათებს ნებისმიერობა და არაერთი ნაკლი. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ ვცდილობთ ყოველი სიტყვა მივაკუთნოთ გარკვეულ კლასს, ალბათ, ვერ მოხერხდება არსებული კლასიფიკაციის შეცვლა უკეთესით“ (Пауль,1960:45) პრობლემას ფილოსოფიურ შეფასებას მისცემს მ. ჰაიდეგენიც: „ენა მეტაფიზიკურია თავისთავში“ (Хайдеггер, 1993: 292), რადგან ,,ეფუძნება გრძნობიერსა და ზეგრძნობიერს... მისი ელემენტები, ერთი მხრივ, ბგერა და დამწერლობა, მეორე მხრივ, მნიშვნელობა და საზრისია“ (Хайдеггер,1993:281). ფიზიკურ ბგერასთან ერთად სიტყვაში მოცემული არაფიზიკური მნიშვნელობა შეუძლებელს ხდის მეცნიერული ანალიზის აუცილებელ პირობას - ლოგიკურ სისწორეს. იმის გამო, რომ არ არსებობს განსხვავება

მრავალ ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობას შორის: ერთი და იგივე მნიშვნელობა ერთ შემთხვევაში გამოიხატება სიტყვის ძირით და ამიტომ არის ლექსიკური, ხოლო სხვა შემთხვევაში გვევლინება გრამატიკულ მნიშვნელობად, რადგან გამოიხატება აფიქსით, ერთი და იგივე მნიშვნელობა გვხვდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილში. არ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ თანამედროვე ქართულ და სხვა ენაში „პირის“ მნიშვნელობა ვაღიაროთ მხოლოდ გრამატიკულად ან ლექსიკურად. ზმნისთვის ის გრამატიკულია, ხოლო ნაცვალსახელებისთვის - ლექსიკური. რიცხვის მნიშვნელობა არსებითისთვის,ზედსართავისთვის, ზმნისთვის გრამატიკულია, რიცხვითი სახელისთვის - ლექსიკური. ზმნისთვის დროის გაგება გრამატიკულია (ვწერ, ვწერდი, დავწერ), ხოლო ზმნიზედისთვის - ლექსიკური (გუშინ, ახლა, ხვალ); ზმნა მოქმედებას გამოხატავს აფიქსით (მიდის, მორბის, იცინის), არსებითი სახელი - ფუძით (სიარული, სირბილი სიცილი). თვისება გამოიხატება ფუძით: ლამაზი, ლურჯი, ხარბი და არსებითი სახელების აფიქსებით: სილამაზე, სილურჯე, სიხარბე. აღნიშნულის შემდეგ უნდა დავეთანხმოთ ჰ. გლისონის შენიშვნას: „იმის მიხედვით, რომ სიტყვა გამოხატავს თვისებას, შეუძლებელია დავადგინოთ, არსებითი სახელია იგი თუ ზედსართავი'' (Глисон, 1959:141). ამ ავტორის თანახმად, ყოველი სიტყვა მიეკუთვნება ენაში მოცემულ შესაბამის გრამატიკულ პარადიგმას: არსებითი სახელების (table-tables-table's- tables' ან man-men-man's-men's; ox-oxen-ox's-oxen's); ზედსართავების (fine-finer-finest); ზმნების (ride-rides-rede-ridder-riding) და ა. შ. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას სწორად გამოვიყენოთ სიტყვები მეტყველებაში (Глисон,1959:143), მაგრამ ჰ. გლისონის მეტყველების ნაწილთა დადგენის პარადიგმალური პრინციპი არ არის უნივერსალური. ძირეულ ენებში, მაგალითად, ჩინურში, რომელსაც არ მოეპოვება ბრუნება და უღლება, იგი გამოუსადეგარია.

ამერიკელი ლინგვისტების მცდელობა, გამოერიცხათ ლინგვისტური ანალიზიდან სემანტიკა, გამოწვეული იყო პოზიტივიზმით, რომელიც მეცნიერული კვლევის ობიექტად დაუშვებდა მხოლოდ რეალურდ მოცემულს. ლ. ბლუმფილდის დაკვირვებით სიტყვათა ლექსიკური მნიშვნელობა არ წარმოადგენს ყოველთვის სინამდვილის ზუსტ ასახვას, ასე, მაგალითად, სიტყვა fire „ცეცხლი“ ინგლისურ და მრავალ სხვა ენაში არსებითი სახელია, მაშინ როცა რეალური ცეცხლი წარმოადგენს წვის პროცესს, რომელიც, ფიზიკოსთა განმარტებით, მოლეკულების მოძრაობაა, „ამ

თვალსაზრისით ბუნებრივ ცეცხლს უფრო შეესაბამება ზმნა to burn ,,წვა“, - წერს ბლუმფოლდი (Блумфилд,1968:293). აღნიშნული უნდა იქონიოს მხედველობაში ფილოსოფოსმაც, რომელსაც სამყაროს შესწავლის დროს არ უნდა აერიოს ერთმანეთში ენობრივი და რეალური. „ლოგიკისა და მეტაფიზიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი წარმოადგენს ფილოსოფოსების მიერ მშობლიური ენის უხეიროდ პერიფრაზირებულ კატეგორიებს“ (Блумфилд,1968:298). ამ გაფრთხილების შემდეგ, ბუნებრივია, ამერიკელი მკვლევრის მცდელობა აღწეროს ენა იმანენტურად: სამყაროსა და აზროვნებისაგან გამოყოფით. სოსიურისაგან განსხვავებით პოზიტივისტური ლინგვისტიკა არ განიხილავდა ენას გონებაში. ბლუმფილდის თანახმად, ენობრივი სისტემა ენათმეცნიერს უნდა ჩამოეყალიბებინა დესკრიფციაში ფორმალური კლასების დადგენით. ამ მიზნით მას უნდა განეხილა ლექსიკური ფორმების გრამატიკული ფუნქციები სინტაგმებში. ასე, მაგალითად, სუბსტანტივების ფორმალურ კლასს შეადგენენ ლექსიკური ფორმები, რომლებიც კონსტრუქციაში «მოქმედი პირი-მოქმედება“ იკავებენ პირველ პოზიციას (John ran), კონსტრუქციაში „მოქმედება-ობიექტი“- მეორე პოზიციას (hit John), წინდებულიან გარემოებაში - განმსაზღვრელია მიმართების (beside John), ხოლო პოსესიურ კონსტრუქციაში გამოხატავენ ,,მფლობელს’ (John’s). ზმნის პირის ფორმები: runs, ran away, is veri kind, scolded the boys... გამოდიან მხოლოდ „მოქმედების’’ პოზიციაში (Блумфилд,1968:294). ფორმალური კლასები ჩართულია ერთმანეთში: სუბსტანტივის კლასი შეიცავს რიცხვის ფორმალურ კლასს (books,boys...), რომელშიც თავის მხრივ შეიძლება გამოვყოთ სახელები არაწესიერი ფორმით (foot, goose, tooth, ox). ’’მეტყველების ნაწილები’’ მაქსიმალურად მსხვილი ფორმალური კლასებია (Блумфилд, 1968:297). ამრიგად, დესკრიფციულ გრამატიკაში ცნებები „ფორმალური კლასები“ და „მეტყველების ნაწილები“ არ გამორიცხავენ ერთმანეთს, მეორე პირველის კერძო შემთხვევაა. ბლუმფილდის აზრით,“მეტყველების ნაწილებს როგორც ფორმალურ კლასებს’’ აქვთ ის უპირატესობა, რომ ისინი გამოხატავენ მხოლოდ გრამატიკულ მიმართებებს და გამორიცხავენ ლექსიკურ მნიშვნელობას. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზღვარი ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებს შორის არ არის აბსოლუტური: „მოქმედი პირის“, „მოქმედების,“ „რიცხვის,“ „თვისების“, „დროის,“ „ადგილის,“ „კუთვნილების“ მნიშვნელობები გამოდიან ხან როგორც ლექსიკური, (გამოიხატებიან სიტყვების ფუძით), ხანაც - როგორც გრამატიკული (გამოიხატებიან

აფიქსით). ბლუმფილდი იყენებს ამ მნიშვნელობებს ფორმალური კლასების ასაგებად. ენის ფორმალური ანალიზი მეცნიერული პროცედურაა. კომუნიკაციის დროს ადამიანები იყენებენ ენას საგნებთან მიმართებაში. რეფერენციის გარეშე კომუნიკაცია შეუძლებელია. ლინგვისტისაგან განსხვავებით, გლეხისთვის ან მეზღვაურისთვის ჯონი არა იმიტომ შეიძლება „კითხულობდეს, მუშაობდეს," „იყოს კეთილი, განათლებული" ან „მას ჰყავდეს ცოლი", რომ სიტყვა ჯონი არსებითი სახელია და გვხდება სუბიექტის, საზღვრულის, მფლობელის პოზიციაში, არამედ იმიტომ, რომ ჯონი ადამიანია. ფიზიკური საგანი პრაქტიკული გრამატიკის ექსტრალინგვისტური მარკერია, რომელიც განსაზღვრავს არსებით სახელს და ამით შესაძლებელს ხდის დავუშვათ მის გვერდით თვისების, მოქმედების, მდგომარეობის, რაოდენობის, ადგილის, დროის, კუთვნილების აღმნიშვნელი სიტყვებიც. ინდექსაცია როგორც კომუნიკაციის აუცილებელი კომპონენტი აღმოაჩინა ჩ. პირსმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ „უყვარს", სიმბოლოს მნიშვნელობას ჩვენ ვხვდებით შეყვარებულ ადამიანებზე დაკვირვებით (Пирс, 2000:89).

ჯ. ლაიონზის აზრით, ონტოლოგიური საფუძველი უნდა ჰქონდეს ყველა ძირითად მეტყველების ნაწილს, რადგან თითოეულში შეიძლება გამოვყოთ ცნებითი ქვეკლასი-სიტყვები, რომელთაც მოეპოვებათ რეალური აღსანიშნი სამყაროში. ასე, მაგალითად, არსებითი სახელების ცნებით კლასში შემავალი სიტყვები აღნიშნავენ ფიზიკურ საგანს (boy, woman, grass, atom, free, cow...). ფორმალური კლასი უფრო ფართოა შემადგენლობით, მაგრამ მის საფუძველს შეადგენს ცნებითი კლასი (boy, woman, grass, atom, free, cow, truth, beauty, electricity). სიტყვები trnth,beauty, electricity არ აღნიშნავენ ფიზიკურ საგნებს. არსებითი სახელი განიმარტება ცნებითი კლასის მიხედვით. „ლინგვისტების მტკიცება იმის შესახებ, რომ არსებითი სახელი არ არის ბუნებრივი ენის უნივერსალური კატეგორია, უსაფუძვლოა,"- ასკვნის ჯ. ლაიონზი (Лайонз,1978:337). ბრიტანელ ლინგვისტს არ გამოუყვია ცნებითი კლასები სხვა მეტყველების ნაწილებისთვის შეიძლება იმიტომ, რომ თვისებას, რაოდენობას, მოქმედებას, მდგომარეობას, დროს, ადგილს, კუთვნილებას არ აქვთ დამოუკიდებელი არსებობა ფიზიკურ სამყაროში, ისინი მხოლოდ ნიშნებია შესაბამისი საგნების. კატეგორიათა ჩამონათვალში ფიზიკურ საგანს არისტოტელე ასახელებს თავში, რადგან იგი „არც ითქმის რაიმეს შესახებ და არც მოცემულია რამეში" (Аристотель,1978:55). მაგრამ მკლევარი, რომელიც შეეცდება დაანაწილოს

სიტყვები კლასებად ფიზიკურ საგნებზე და მათ ნიშნებზე დაყრდნობით, წააწყდება პრობლემას ონტოლოგიაში: „დისკრეტული ფიზიკური ობიექტები“ იმდენად არაერთგვარი არიან, რომ მათი გაერთიანება მხოლოდ აღქმის საფუძველზე არის შეუძლებელი. ზოგი მათგანი მიუწვდომელია უშუალო აღქმისათვის: უჯრედი, მოლეკულა, გენი, გლიცინი, ლიზინი..., სხვა, პირიქით, აღქმით შეუწვდენელია: გალაქტიკა, ევროპა, დედამიწა, სამყარო. ცალკე უნდა გამოვყოთ არანამდვილი ფიზიკური ობიექტები, მაგალითად ქიმიური ელემენტები: აზოტი, წყალბადი, მაგნიუმი, ნატრიუმი..., რომლებიც არ არსებობენ ბუნებაში წმინდა, შეურეველი სახით. ობიექტი შეიძლება გვეძლეოდეს აღქმაში, მაგრამ მის უკან არაფერი იდგეს: მირაჟი, მოჩვენება, მოლანდება, ხილვა. აღნიშნული და სხვა ფიზიკური ობიექტები: ქვა, ხე, მზე, ცისარტყელა, ცა, ნაკადული, ქარიშხალი, დღე, ღიმილი, სიცილი შეიძლება გავაერთიანოთ მხოლოდ აზრის საშუალებით მენტალურად: ფიზიკური საგნის აღმნიშვნელი სიტყვა, არისტოტელეს აღმოჩენის თანახმად, მსჯელობაში ყოველთვის იკავებს სუბიექტის ადგილს: ,,ბულბული გალობს''; ,,ძაღლი იკბინება'' პრედიკატის პოზიციაში ,,ეს არის ბულბული'', ,,ეს არის ძაღლი'' იგი აღარ აღნიშნავს საგანს, არამედ მხოლოდ გამოხატავს ცნებას. ლოგიკის თანახმად, საგანი არ შეიძლება ითქმოდეს რაიმეს შესახებ (Аристотель,1978:56). მაგრამ სუბიექტის პოზიციაშიც არსებითი სახელი ყოველთვის არ აღნიშნავს ფიზიკურ საგანს. მაგალითებში: „ვარჯიში სასარგებლოა“, „მოძრაობა აუცილებელია“, „სიყვარული აგვამაღლებს“ არსებითი სახელები გადმოსცემენ პროცესებს. ლოგიკურ საგნად მათ ენის მეშვეობით აქცევს გონება, როდესაც წარმოაჩენს აზრის სუბიექტად. ენა იძლევა საშუალებას ლოგიკური საგანი გამოვიყენოთ ობიექტადაც: „მე მიყვარს დილის ვარჯიში“, „გივიმ გააკეთა სწრაფი მოძრაობა“.

ჰუმბოლდტის თანახმად, ყოველი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა მიიღება არტიკულაციის შედეგად და ცალკე აღებული გამოხატავს ცნებას: ,,ბულბული'', ,, გალობა'', ,,ძაღლი'', ,,კბენა''; კონკრეტულ საგანს ან ნიშანს, საზოგადო სიტყვა შეიძლება აღნიშნავდეს მხოლოდ წინადადებაში ინდექსური სიტყვის მეშვეობით: ,,დღეს ბაღში ბულბული გალობდა''; ,,ამ ძაღლმა მიკბინა'', მაგრამ წინადადებებში: ,,ბულბულის გალობა ყველას უყვარს“; „ავი ძაღლი იკბინება“ არსებითი სახელები ,,ბულბული'', ,,ძაღლი'' გამოხატავენ ცნებებს, მაგრამ არ აღნიშნავენ საგნებს.

ამრიგად, სუბიექტის პოზიციაშიც ყველა არსებითი სახელი არ აღნიშნავს

ფიზიკურ საგანს. არისტოტელეს თანახმად, ის, რაც ითქმის საგნის შესახებ, თავად არ შეიძლება იყოს საგანი (Аристотель,1978:56). ოსტენსიურ წინადადებებში „ეს არის ბულბული“, „ეს არის ძაღლი“ და ა.შ. ცნებები „ბულბული“, „ძაღლი“ განსაზღვრავენ შესაბამისი საგნების კონცეპტუალურ რაობას, ამიტომ პრედიკატის პოზიციაში ყველა არსებითი სახელი მნიშვნელობის განურჩევლად მხოლოდ გამოხატავს ცნებას და არ აღნიშნავს საგანს. მსგავსად ცალკე აღებული არსებითი სახელიც გამოხატავს ცნებას ისე, როგორც სუბიექტის პოზიციაში ინდექსური სიტყვების გარეშე გამოყენებული არსებითი სახელები არ აღნიშნავენ საგანს, არამედ გამოხატავენ ცნებას. ამასთან ერთად, სუბიექტის პოზიციაში ყველა არსებითი სახელი გამოხატავს ლოგიკურ საგანს.

ამრიგად, კონკრეტულ ფიზიკურ საგანს არსებითი სახელი აღნიშნავს მხოლოდ წინადადებაში სუბიექტისა(=ქვემდებარის) და ობიექტის პოზიციაში ინდექსური სიტყვების მეშვეობით. ,,ლოგიკური საგნის'' უპირატესობა ,,ფიზიკურ საგანთან'' იზრდება შემდეგი გარემოების გათვალისწინებით: თვისებას გამოხატავენ ზედსართავებიცა და არსებითი სახელებიც, მაგრამ ზედსართავისაგან განსხვავებით, რომელიც გამოხატავს თვისებას „წმინდა სახით“, სხვა მნიშვნელობასთან შეთავსების გარეშე (სწრაფი, ლამაზი, გონივრული), არსებითი სახელი გამოხატავს თვისებას საგნის სახით (სისწრაფე, სილამაზე, გონივრულობა), რადგან ყოველივეს: მოქმედებას, ადგილს, დროს, მიმართებას და ა. შ. გადმოსცემს როგორც ცალკე მოცემულს ანუ ლოგიკურ საგანს.

„კატეგორიებში“ ტერმინს ,,სახელი“ არისტოტელე იყენებს ,,სუბიექტის“ მნიშვნელობით. ლოგიკის თანახმად, სახელი(=სუბიექტი) გამოხატავს მხოლოდ საგანს (Аристотель,1978:50). გრამატიკაში ტერმინი ,,სახელი“ აღნიშნავს სატყვას და არა აზრის ნაწილს, მაგრამ ლოგიზირებულმა ტრადიციულმა გრამატიკამ ლოგიკის მსგავსად არსებითი სახელის მნიშვნელობად დატოვა „საგანი“, და შესაბამისად სინტაქსურ ფუნქციად აღიარა მხოლოდ ქვემდებარე-დამატება. აღნიშნული გამორიცხავდა სხვა მეტყველების ნაწილების გამოყენებას ქვემდებარე-დამატების როლში, მეორე მხრივ, ატრიბუტის, პრედიკატისა და გარემოების სინტაქსურ როლებს მიიჩნევდა „უცხოდ“ არსებითი სახელისთვის. მართალია, მეტყველების ნაწილთაგან „საგანი“ (ლოგიკურიცა და ფიზიკურიც) შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ არსებითი სახელით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსებითი სახელი

გამოხატავს მხოლოდ საგანს. საგნის გამოხატვასთან ერთად ყველა ენაში არსებითი სახელი გამოიყენებოდა ატრიბუტული ადვერბიალური და პრედიკატული მნიშვნელობებითაც, მაგრამ ამ ფაქტმა ვერ ჰპოვა ასახვა გრამატიკაში. ცნობილია, რომ ზედსართავი სახელი შედარებით გვიან გამოეყო არსებით სახელს. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი დღესაც გამოიყენება მსაზღვრელის როლში და არა მხოლოდ გენეტივის ფორმოთ: ,,ასისტენტი პროფესორი''; ,,პროფესორ-მასწავლებლები''; ,,გენერალ-მაიორი''; ინგლისურში: „a table spoon" „მაგიდის კოვზი" "a table tennis" ,,მაგიდის ტენისი" „a lamp table" „ლამპის მაგიდა" "a table lamp" ,,მაგიდის ლამპა" "a book case" „წიგნის კარადა" "a books shop" "წიგნის მაღაზია" "bout-house" "ნავების გასაჩერებელი შენობა"; „თურქული იზაფეტი": altin zincir " „ოქროს ძეწკვი", "tas bina " „ქვის -შენობა", „kahve palto'' ''ყავისფერი პალტო'', aslan- insane'' ,,ლომი კაცი'', gul yanak'' ,,ვარდი ლოყა''.

არსებითი სახელისაგან განსხვავებით ზმნიზედა გამოხატავს მხოლოდ ადვერბიალურ მნიშვნელობას, ამის გამო არსებითი სახელების გამოყენებას ამ მნიშვნელობით ტრადიციული გრამატიკა მიიჩნევს „სხვის ფუნქციაში შეჭრად". უსაფუძვლობა ამ შეფასების მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ზმნიზედები წარმოიქმნენ არსებითი სახელებისგან. გარემოების ფუნქციაში გამოყენებული არსებითი სახელი ადვერბიალური მნიშვნელობის დასაბამიერი გამომხატველია: ისტორიამ არ იცის ტექსტი, რომელშიც არსებითი სახელები გამოხატავენ მხოლოდ საგანს, ფორმებთან: ,,ქვა'',,,ხე'', ,,ტყე'', ,,ქალაქი'' და ა. შ. ყოველთვის წარმოდგენილია ფორმები: ,,ქვაზე'', ,,ხესთან'', ,,ტყეში'', ,,ქალაქიდან'' და ა. შ. ამრიგად, არსებითი სახელი გამოირჩევა პოლიფუნქციურობით. იგი გამოიყენება როგორც სუბიექტისა და ობიექტის, ისე პრედიკატის, ატრიბუტის, აგრეთვე ადვერბიალური ფუნქციით. დასახელებულთაგან თითოეული ფუნქცია ძირითადია არსებითი სახელისათვის. რადგან სუბიექტისა და ობიექტის აღმნიშვნელად ენაში გამოდის მხოლოდ არსებითი სახელი, საგნის გამოხატვის მნიშვნელობა ცხადდება ამ მეტყველების ნაწილის ერთადერთ მნიშვნელობად და სამყაროს დისკრეტულ ნაწილსაც ეწოდება საგანი, მაგრამ საგნად სამყაროს ესა თუ ის დისკრეტული ობიექტი იქცევა მხოლოდ შესაბამის წინადადებაში, მაგალითად: ,,წიგნი დევს მაგიდაზე''; ,,კარადა დგას ოთახში''; „ხე გაიზარდა"; ,,წიგნი'', ,,კარადა'', ,,ხე'', სხვა წინადადებებში შეიძლება აღარ გამოხატავდნენ საგანს, მაგალითად: ,,სათვალე დევს წიგნზე'', ,,ეს არის წიგნი'',

,,წიგნის გარეკანი''; ,,პალტო კარადაშია'', ,,კარადის კარი'', ,,ეს არის კარადა''; ,,ვანო ხეზეა'', ,,ხის ტოტი'', ,,ეს ხეა'': საგანი, პრედიკატი, ატრიბუტი, ადგილი, -ამ მნიშვნელობას სამყაროს დისკრეტული ობიექტი იძენს მხოლოდ შესაბამის წინადადებაში, ამიტომ წინადადების გარეთ ის არც საგანია, არც ატრიბუტი, არც ადგილი (გარემოება) და არც მით უმეტეს პრედიკატი (განმსაზღვრელი ცნება). არსებითი სახელი აღნიშნავს სამყაროს განუსაზღვრელ დისკრეტულ ობიექტს, რომელიც წინადადებაში გვევლინება ან საგნის ან პრედიკატის, ან ატრიბუტის ან ადვერბუმის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა

შანიძე აკაკი, თხზ. 12 ტ., III, თსუ, თბილისი. 1980;

Аристотель, Соч. в 4т., т. 2, Мысль, Москва. 1978;

Аристотель, Соч. в 4т., т.4, Мысль, Москва. 1984;

Блумфилд Л., Язык, Прогресс, Москва. 1968

Глисон Г., Введение в дескриптивную лингвистику, Иностр. лит-ра, Москва. 1959

История лингвистических учений, Наука, Ленинград. 1980;

Лайонз Дж., Введение в теоретическую лингвистику, Прогресс, Москва. 1978;

Пауль Г. Принципы истории языка, Иностр. лит-ра, Москва. 1960;

Пирс Ч., Начала прагматизма, т2, Алетейя, СПГУ, Петербург. 2000;

Хайдеггер М., Время и бытие, Республика, Москва. 1993;

Щерба Л., Избранные работы по русскому языку, Госучпедгиз, Москва. 1957.

For the Problem of Speech Parts

Without separating parts of speech, it is impossible to formulate and understand the proposal as well. This is the basis for such classes. L. Bloomfield's formal method excludes references from the analysis, without which it is impossible to communicate.

J. Lionz, on the contrary, finds Parts of Speech basis in ontology and recognizes noun as an essential part of speech.

Analysis shows that physical objects are so varied that their union can only be in the logical connotation called "subject", which was used by Aristotle, referring to the subject

and designated with the term "name". After Aristotle, the term "name" is in touch with the subject, but the noun does not always point to the subject and not only the subject.